ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმი

N 56
12.07.2024

56-09-4-202407121547

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ შუახევის სატყეო ადმინისტრაციის, ოლადაურის სატყეოს N3 სამცველოს კვარტალ N21-ში უკანონოდ (უკანონოდ გაჩეხვით ან სხვაგვარად) განხორციელებული ჭრების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოზე მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით გადმოცემული მერქნული რესურსის ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით გაცემის შესახებ

საქართველოს კანონით ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის ,,ტყითსარგებლობის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე” 67-ე, 71-ე, 78-80, 82-86-ე და 88[1]-ე მუხლების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, ,,სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის” დამტკიცების შესახებ 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №55 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს დებულების (დანართი1) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ შუახევის სატყეო ადმინისტრაციის, ოლადაურის სატყეოს N3 სამცველოს კვარტალ N21-ში უკანონოდ (უკანონოდ გაჩეხვით ან სხვაგვარად) განხორციელებული ჭრების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოზე მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ით გადმოცემული მერქნული რესურსი გაიცეს ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით;

2. მერქნული რესურსი დასაწყობებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ.მახალაკიძეების (ლაზოღლების უბანის) ტერიტორიაზე. საერთო მოცულობა შეადგენს 11.21 კბმ. სოჭის მორი (სამასალე) I ხარისხის 16 (თექვსმეტი) ცალი.

   1.სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 41 სმ.
   2. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 40 სმ.
   3. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 43 სმ.
   4. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 62 სმ.
   5. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 61 სმ.
   6.სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 55 სმ.
   7. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 66 სმ.
   8. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 35 სმ.
   9. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 36 სმ.
   10. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 48 სმ.
   11. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 49 სმ.
   12. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 40 სმ.
   13. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 61 სმ.
   14. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 44 სმ.
   15. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 53 სმ.
   16. სიგრძე - 3 - მეტრი. წვ.თავ. დიამეტრი 60 სმ.

   მერქნული რესურსი განთავსებულია ღია ცის ქვეშ და განიცდის გარემო პირობების ზემოქმედებას. მერქნული რესურსი საავტომობილო გზიდან დაშორებულია დაახლოებით 5 მეტრი მანძილით;

3. ელექტრონული აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 3,531.15 (სამიათას ხუთას ოცდათერთმეტი ლარი და 15 თეთრი) ლარის ოდენობით;
4. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით;
5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე განისაზღვროს: 706.23 (შვიდას ექვსი ლარი და 23 თეთრი) ლარის ოდენობით;
6. თუ მონაწილე ელექტრონულ აუქციონში ვერ გაიმარჯვებს, მას ბე უკან უბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში – ბე-ს თანხა ითვლება აუქციონის საბოლოო/შეთავაზებულ ფასში;
7. ბე უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ: ა) მონაწილე არ მიიღებს მონაწილეობას ვაჭრობაში; ბ) გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ელექტრონულ აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ

თანხას (ბე-ს გამოკლებით); გ) აუქციონში გამარჯვებული პირი არ გააფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას;

8. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგენილი წესით, გადაიხადეს „ბე“ ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი „ბე“ ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება განმკარგავის ბიუჯეტში;
9. მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა უზრუნველყოს თანხის სრულად გადახდა:

   ა) მის მიერ აუქციონზე შეთავაზებული ფასი (ბე-ს გამოკლებით) აჭარის სატყეო სააგენტოს ანგარიშზე - მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგარიშის N740397309 მ/ბ სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22;

   ბ) აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასური, მერქნულ რესურსზე ხეტყის წარმოშობის დოკუმენტის გაცემის ან/და სპეციალური ფირნიშებით მარკირებისათვის (არსებობის შემთხვევაში) აჭარის სატყეო სააგენტოს ანგარიშზე - მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგარიშის N740397499 მ/ბ სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22;
10. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საბოლოოდ დაფიქსირებული თანხის (ბე-ს გამოკლებით) გადახდის შემდეგ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,აჭარის სატყეო სააგენტო“ უზრუნველყოფს: I ხარისხის მრგვალი ხეტყისათვის (სამასალე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი ცხრილის მიხედვით ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის I კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდას სულ ჯამში 246.62 (ორას ორმოცდაექვსი ლარი და 62 თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხა წარმოადგენს მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს (იხ. დანართი N1);
11. გამარჯვებულის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ 1 (ერთი) თვის ვადაში ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება და გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცემა მერქნული რესურსი;

12. ელექტრონული აუქციონი ავტომატურად ითვლება ჩაშლილად, თუ: აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას ან/და დადგენილ ვადაში არ გააფორმებს ნასყიდობის ხელშეკრულებას;
13. ელექტრონული აუქციონის საქმის ნომერია N1112-09;
14. ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს ინტერნეტგვერდზე – www.eauction.ge;
15. სააუქციონო განცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება და ფინანსური ოპერაციების შესრულება დაევალოს სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ეკონომიკურ სამსახურს;
16. ბრძანების სათანადო პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს;
17. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საფუძველი: 1.სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 08 სექტემბრის N006338023 დასკვნა; 2. სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მართვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 12 სექტემბრის N1112-09 მოხსენებითი ბარათი.

ჯუმბერ აბულაძე

სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა